ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის
ოქმი № 22

ქ. თბილისი, 28 ნოემბერი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 22 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/*

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/*

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/*

4. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით

**მოისმინეს:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის ინფორმაცია თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა** აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია წერილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „ტურიზმი" (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წელს ჩაირიცხა 13 მაგისტრანტი (ბრძანება №617/01-04, 21.09.2020), ხოლო 2021-2022 სასწავლო წელს - 5 მაგისტრანტი (ბრძანება №705/01-04, 27.09.2021). სამაგისტრო პროგრამის მოცულობას შეადგენს 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი 110 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები 79, პროფესიული 9, სამაგისტრო ნაშრომი 22), არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე მაგისტრანტებმა პირველი სამი სემესტრში სასწავლო კურსები გაიარეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ხოლო მეოთხე სემესტრში სწავლა გააგრძელეს ლიონში (საფრანგეთი) ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტში, სადაც დაასრულეს სასწავლო კურსი და დაიცვეს სადიპლომო ნაშრომი. კურსდამთავრებულებს ლუმიერის ლიონ 2-ს უნივერსიტეტის მიერ მიენიჭათ მაგისტრატურის ხარისხი (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დიპლომი, განხრით „ტურიზმი").

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის (საფრანგეთი) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ტურიზმის (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულებს ათვისებული აქვთ თსუ-სა და ლუმიერი ლიონის 2 უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსები (120 კრედიტი).

ლუმიერის უნივერსიტეტ - ლიონ 2-სა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ერთობლივი სამაგისტრო

პროგრამის ხელშეკრულების საფუძველზე კურსდამთავრებულებს მიზანშეწონილია მიენიჭოს შესაბამისი მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კერძოდ:

ა. **მიენიჭოს ტურიზმის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2022 წლის** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - ტურიზმი (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულებს:

***დიპლომი წარჩინებით:***

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ამბარცუმოვი | მაია | 01011081374 |
| 2 | ბაბუაშვილი | ელენე | 20001067447 |
| 3 | გზირიშვილი | ქეთი | 40001036999 |
| 4 | გოგუაძე | ნათია | 61001070877 |
| 5 | მიქიაშვილი | ია | 01008048178 |
| 6 | ხოსიაშვილი | გვანცა | 59001117057 |

***დიპლომი ჩვეულებრივი:***

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბიკაშვილი | თინათინი | 01027073036 |
| 2 | ბეგლარაშვილი | სვეტლანა | 24001042032 |
| 3 | ზაზაძე | ზურიკო | 12001097793 |
| 4 | მამუკელაშვილი | მარი | 08001034110 |
| 5 | მანჩხაშვილი | თინათინ | 01027077572 |
| 6 | მახარაძე | ნინო | 01024079993 |
| 7 | ცერცვაძე | ნინო | 01008061725 |

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს: მიენიჭოს ტურიზმის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2022 წლის** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - ტურიზმი (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულებს:

***დიპლომი წარჩინებით:***

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ამბარცუმოვი | მაია | 01011081374 |
| 2 | ბაბუაშვილი | ელენე | 20001067447 |
| 3 | გზირიშვილი | ქეთი | 40001036999 |
| 4 | გოგუაძე | ნათია | 61001070877 |
| 5 | მიქიაშვილი | ია | 01008048178 |
| 6 | ხოსიაშვილი | გვანცა | 59001117057 |

| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბიკაშვილი | თინათინი | 01027073036 |
| 2 | ბეგლარაშვილი | სვეტლანა | 24001042032 |
| 3 | ზაზაძე | ზურიკო | 12001097793 |
| 4 | მამუკელაშვილი | მარი | 08001034110 |
| 5 | მანჩხაშვილი | თინათინ | 01027077572 |
| 6 | მახარაძე | ნინო | 01024079993 |
| 7 | ცერცვაძე | ნინო | 01008061725 |

ბ. **მიენიჭოს ტურიზმის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2023 წლის** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - ტურიზმი (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულებს:

| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ზარდიაშვილი | ლია | 13001017344 |
| 2 | პოლიტოვა | ილონა | 01011070592 |
| 3 | ჩაფიძე | სანდრო | 01001096026 |
| 4 | ხუბერაშვილი | მარიამი | 31001056291 |
| 5 | ჯორჯიკია | ალექსანდრე | 62502018762 |

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **მიენიჭოს ტურიზმის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2023 წლის** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - ტურიზმი (ქართულ-ფრანგული) კურსდამთავრებულებს:

| *დიპლომი ჩვეულებრივი:* | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ზარდიაშვილი | ლია | 13001017344 |
| 2 | პოლიტოვა | ილონა | 01011070592 |
| 3 | ჩაფიძე | სანდრო | 01001096026 |
| 4 | ხუბერაშვილი | მარიამი | 31001056291 |
| 5 | ჯორჯიკია | ალექსანდრე | 62502018762 |

**მოისმინეს**: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

*/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№29136/10, 31.10.2024) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ირაკლი სიმონიშვილისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ირაკლი სიმონიშვილი 2000 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ინფორმატიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 2.08.2000). 2002 წლის 1 სექტემბრიდან გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გადაყვანილი იქნა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით (ბრძანება №4/985, §2, 3.09.2002). თსუ რექტორის 2002 წლის 24 სექტემბრის №4/1132 ბრძანებით შეიცვალა ნაწილობრივ ბრძანება №4/985, 3.09.2002 და ირაკლი სიმონიშვილი გადაყვანილი იქნა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობაზე ნაცვლად ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობისა.

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის კურსდამთავრებულ ირაკლი სიმონიშვილს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 17 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №01) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 23 აგვისტოს №4/725 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკური-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B№001553 (სარეგისტრაციო №01/2211) რეგისტრირებულია ირაკლი სიმონიშვილის სახელზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ეკონომიკური ინფორმატიკა“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და ეკონომიკურ-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაცია“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილება (შემაჯამებელი ოქმი №01, 17.06.2005) და კურსდამთავრებულ ირაკლი სიმონიშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკური-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით“*** მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკურ-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით“***.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განიხილოს ირაკლი სიმონიშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 17 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№01) დაფიქსირებულ დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**
**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობის კურსდამთავრებულ ირაკლი სიმონიშვილს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკური-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკურ-საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით“.**
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემეჯამებელ ოქმში (№01, 17.06.2005) მითითებულ დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობის ყველა კურსდამთვრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკური ინფორმატიკა სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №01, 17.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ
*/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/*

1. **ბექა ბაიაშვილი - „ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელების დანერგვის გამოწვევები და დაძლევის გზები საქართველოში“**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე**

2. **ირაკლი არჩვაძე - ,,ფულადი ტრანსაქციების როლი საქართველოს ეკონომიკური ზრდასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში”**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე**

3. **თეიმურაზ კალანდია - ,,საგადასასახადო შეღავათების გავლენა საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე”**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი**

4. **ნიკოლოზ კაპანაძე - ,,კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური**

**აზრი გამოთქვეს:** აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. გ.ღაღანიძემ

**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე** - 22
**წინააღმდეგი** - 0

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დოქტორანტებისათვის წარმოდგენილი სადისერტაციო თემა და მეცნიერ-ხელმძღვანელები.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ასოცირებული პროფესორის მანანა ლობჟანიძის ინფორმაცია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ***სალომე ჯაბაშვილის*** სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

**აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22**
**წინააღმდეგი - 0**

**დაადგინეს:** **სალომე ჭაბაშვილი** არის თსუ-ს თანამშრომელი და დადგენილების შესაბამისად მიეცეს შეღავათი სწავლის საფასურზე.

**მიმდინარე საკითხები**

1. **მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ეხმაურება უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ნებისმიერი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას. ეს მოსაზრებები არ უნდა შეიცავდეს ვიწრო პარტიული და იდეოლოგიურ ინტერესებს. ნებისმიერი პროცესი უნდა წარიმართოს სამართლებრივ ჩარჩოში, რომელიც განსაზღვრულია თსუ წესდებით.

ყველა, თუნდაც ძალიან მწავე საკითხზე, უნდა მიმდინარეობდეს დიალოგი აკადემიური ფორმატის დაცვით.

**აზრი გამოთქვეს:** აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორმა ლ. საზაურმა.

**კენჭისყრის დროს სხდომას ესწრებოდა 22 წევრი.**
**ჩატარდა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 0**
**წინააღმდეგი - 22**

**დაადგინეს:** ფაკულტეტის საბჭოს კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა ყველა, თუნდაც ძალიან მწავე საკითხზე, უნდა მიმდინარეობდეს დიალოგი აკადემიური ფორმატის დაცვით.

1. მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერული აკრედიტაცია. აკრედიტაციას ერთდროულად 8 საგანმანათლებლო პროგრამა გადის. აღნიშნულთან დაკავშირებით გვაქვს მხოლოდ ორი რეკომენდაცია. აკრედიტაციის საბჭოს ყველა პროგრამის ხელმძღვანელი უნდა დაესწროს;

2. უნდა განვაახლოთ ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი. ოთხწლიანის ნაცვლად უნდა გამოვაცხადოთ მიღება სამწლიან პროგრამაზე;
3. აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ ისაუბრა გამოცდების ჩატარების შეჯერებულ ვარიანტებზე. უნდა იყოს 4-ზე მეტი ვარიანტი და ეს ყველა აკადემიურ პერსონალს ეხება;
4. პროფესორმა თ. შენგელიამ წამოაყენა საკითხი, რომ აკადემიური პერსონალის მიერ 3 ანგარიშის წარდგენა არ არის საჭირო. გაერთიანდეს და შეიქმნას ერთი უნივერსალური ბანკი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი